

ეროვნული უმცირესობების
ჩართულობა საქართველოს
პოლიტიკურ ცხოვრებაში

წინამდებარე პუბლიკაცია აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრმა (EECMD) ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისთან ერთად (OSCE-HCNM) პროექტის „საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ჩართულობის გაძლიერება“ ფარგლებში გამოსცა.

აღნიშნული პროექტის მიზანია საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისევე როგორც საკანონმდებლო ორგანოში, ეროვნული უმცირესობების ჩართულობისა და წარმომადგენლობის ზრდის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში მრავალპარტიულ ფორმატში გაიმართა არაერთი შეხვედრა, რომლებზეც საზოგადოებაში ეროვნული უმცირესობების უკეთესი წარმომადგენლობისა და ინტეგრაციის მისაღწევად საჭირო მექანიზმების შესახებ პროექტში ჩართული პოლიტიკური პარტიების, ეროვნული უმცირესობების თემატიკაზე მომუშავე სახელმწიფო ინსტიტუტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მსჯელობდნენ.

წინამდებარე პუბლიკაციის თემაც პროექტში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციებისა და შეხვედრების დროს განხილული საკითხების ანალიზის საფუძველზე შეირჩა. პოლიტიკის ნარკვევი „ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჩართულობა სახელმწიფო ენის შესწავლის შემდეგ: გამოწვევები და შესაძლებლობები პანკისის ხეობის მაგალითზე“ მოკლედ მიმოიხილავს ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის ოთხ ძირითად კომპონენტს (პოლიტიკური და სამოქალაქო ჩართულობა; თანასწორი სოციო-ეკონომიკური განვითარება; განათლების თანასწორი ხელმისაწვდომობა; და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარება) და პანკისის ხეობის მაგალითზე აანალიზებს ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკური ინტეგრაციის პრობლემის მიზეზებს.

ავტორი: ბაკურ კვაშილავა

ქართული ენის რედაქტორი: ელზა ნაბახტველი

დიზაინი და დაკაბადონება: მარიამ ზალდასტანიშვილი

პუბლიკაცია გამოიცა აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის (EECMD) დაკვეთითა და ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის (ეუთო ეუუკ) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრისა (EECMD) და ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის პოზიციას (ეუთო ეუუკ).

ეუუკ ოფისი მხარს უჭერს მთლიანი საზოგადოებების ინტეგრაციას, რაც გულისხმობს, ინტეგრაციის მიმართულებით, როგორც უმრავლესობების, ისე უმცირესობების მიერ განხორციელებულ ძალისხმევებს. ამ მიმართულებით ეუუკ ოფისის სახელმძღვანელო პრინციპების გასაცნობად, იხილეთ მრავალფეროვანი საზოგადოებების ინტეგრაციის შესახებ ლიუბლიანას სახელმძღვანელო პრინციპები: <http://www.osce.org/hcnm/integration-guidelines>



ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჩართულობა სახელმწიფო ენის შესწავლის შემდეგ: გამოწვევები და შესაძლებლობები პანკისის ხეობის მაგალითზე

ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის საკითხი უკვე რამდენიმე წელია სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. ამ მიმართებით გადამწყვეტ როლს თამაშობს ადგილობრივი და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოება. აქვე უნდა გავითვალისწინოთ საქართველოსა და ევროკავშირის შორის მიმდინარე დაახლოების პროცესი და ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო დონორების განახლებული ინტერესი.

საქართველო მრავალეთნიკური სახელმწიფოა. ისტორიულად და კულტურულად, ჩვენი ქვეყანა თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე მუდამ იყო სხვადასხვა ცივილიზაციის გადაკვეთის ადგილი. კომუნისტური წყობილების დამხობის შემდეგ საქართველოს დემოგრაფიული კომპოზიცია შეიცვალა და ეთნიკური უმცირესობების ხვედრითი წილი მოსახლეობაში მნიშვნელოვნად შემცირდა; დღეს ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის 14 პროცენტს შეადგენს. ამ ცვლილების ერთ-ერთი მიზეზი ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველ წლებში არსებული მდგომარეობა იყო - ეთნიკურმა კონფლიქტებმა და სამოქალაქო ომმა გაუსაძლისი პირობები შექმნა; ქვეყნიდან ემიგრაციის მასშტაბი ძალზე გაიზარდა და საქართველო დატოვა ბევრმა მოქალაქემ, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წილი დაახლოებით ორჯერ მეტი იყო. ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსგავსი გარემოებების დროს ეთნიკური უმცირესობები განსაკუთრებით დაუცველად გრძნობენ თავს; გარდა ამისა, საკუთარი წარმომავლობის გამო უფრო მეტი ალბათობაა იმისა, რომ სხვა სახელმწიფოში ჰქონდეთ ისეთი კავშირები, რაც წარმატებული ემიგრაციის მეტ შესაძლებლობას იძლევა.

დღეს, როდესაც საქართველომ მტკიცედ გადაწყვიტა, დაუბრუნდეს ევროპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეს, როგორც ამ ოჯახის კულტურული ნაწილი, მისი უპირველესი ამოცანაა უმცირესობების, მათ შორის, ეთნორელიგიური და ლინგვისტური უმცირესობების უფლებების განუხრელი დაცვა და მათი კულტურული თვითმყოფადობის უპირობო მხარდაჭერა. 2005 წელს „ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ“ ევროპულ ჩარჩო-კონვენციასთან საქართველოს მიერთება კონკრეტულ ვალდებულებებს მოიცავს. ამ მიმართებით, დემოკრატიისა და თავისუფლებების განუხრელი დაცვა ერთადერთი გზაა ხელშესახები შედეგების მისაღწევად. ეს ამოცანა კი განსაკუთრებით რთული შესასრულებელია ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით. ხშირად ამ ჯგუფების ინტეგრაცია ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გართულებულია სახელმწიფო ენის არცოდნის, დემოკრატიული ტრადიციის არარსებობისა და წარსული გამოცდილების გამო. ამ თვალსაზრისით, პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები საინტერესო მაგალითს წარმოადგენენ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ ენას სრულად ფლობს და ისტორიულად მათი იდენტიფიკაცია საქართველოსთან გაცილებით მაღალია, ვიდრე ქვეყნის ტერიტორიაზე კომპაქტურად დასახლებული ნებისმიერი სხვა ეთნიკური უმცირესობისა. ამის მიუხედავად, მათი ჩართულობისა და ადგილზე არსებული პრობლემატიკის შესწავლა ცხადად აჩვენებს, რომ მხოლოდ სახელმწიფო ენის სრულყოფილად ფლობა არ არის გარანტია იმისა, რომ ეროვნული უმცირესობა სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში. ამ

გარემოებების ანალიზი მკაფიო წარმოდგენას შეგვიქმნის, თუ როგორი კომპლექსური პოლიტიკაა შესაძლებელი, რომელიც, ქართული ენის შემსწავლელ პროგრამებთან ერთად, მიმართული იქნება ინტეგრაციის ხელის შემშლელი სხვა ფაქტორების აღმოსაფხვრელად.

დღეს არსებული მონაცემებით, ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში არაადეკვატურია. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და ადგილობრივ მმართველობაში მათი წარმომადგენლობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ამ ჯგუფების რაოდენობას. გამოკითხვები აჩვენებს, რომ ჩართულობის ხელის შემშლელი უმთავრესი ფაქტორი ენობრივი ბარიერია - კომპაქტურად დასახლების ადგილებში უმცირესობები დიდწილად ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას; აქედან გამომდინარე, მათი უმრავლესობა ვერ ახერხებს გაეცნოს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის პროცესს, ჩასწვდეს მის არსს. მაგალითად, სწორედ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გაცილებით დაბალია საქართველოს ევროატლანტიკურ პროცესებში გაწევრიანების მხარდაჭერა. ეს მეტწილად განპირობებულია რუსული პროპაგანდის დომინანტური როლით, ვინაიდან მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ინფორმაციას სწორედ რუსული არხების საშუალებით იღებს. სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს უშუალო სამეზობლოში დემოკრატიული პროცესები უკუსვლას განიცდის და ამიტომ ინფორმაციის სხვა წყაროებიც (სომხური, აზერბაიჯანული და თურქული) ლიბერალური ფასეულობების გავრცელებას ნაკლებად უწყობს ხელს.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიის“ თანახმად, 5-წლიანი სამოქმედო გეგმა (2015-2020) მიზნად ისახავს საქართველოს საზოგადოებაში ეროვნული უმცირესობების სრულფასოვან და ღირსეულ ინტეგრაციას მათი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებით.

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიაში“ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აზერბაიჯანელებითა და სომხებით კომპაქტურად დასახლებულ და საზღვართან ახლოს მდებარე რაიონებს, რომლებიც, უარყოფითი მოვლენების განვითარების შემთხვევაში, შესაძლოა ირედენტისმისა და/ან თემთაშორის დაპირისპირების ადგილად იქცეს; მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ სამხრეთ კავკასიაში უკვე არსებულ ე.წ. გაყინულ კონფლიქტებს. „სტრატეგია“ მთავარ გამოწვევად ქართული ენის არცოდნას ასახელებს და ამ მიმართებით სპეციალურ მიდგომებსა და მექანიზმებს გვთავაზობს. ერთ-ერთი მათგანია 1+4 სისტემის დანერგვა, რომელიც ბევრ ახალგაზრდას აძლევს საშუალებას, უმაღლესი განათლება მიიღოს საქართველოს უნივერსიტეტებში, მეორე მხრივ, სპეციალური მხარდაჭერით სარგებლობს ქართული ენის შესწავლა საშუალო სკოლებში. ბოლო კვლევები აჩვენებს, რომ ამ პროგრამებს უფრო ხელშესახები შედეგები აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში მოაქვს, თუმცა პრობლემად რჩება უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ადეკვატური ჩართულობა საკუთარი რეგიონის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ეთნიკური უმცირესობების წარმატებული ინტეგრაცია ოთხი ძირითადი კომპონენტით ფასდება. ესენია: პოლიტიკური და სამოქალაქო ჩართულობა, თანასწორი სოციოეკონომიკური განვითარება, განათლების თანასწორი ხელმისაწვდომობა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარება. შეიძლება ითქვას, რომ ამ ოთხი მიმართულებიდან ჩართულობის უზრუნველყოფა ყველაზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ მისი მეშვეობით არის შესაძლებელი პროცესები შეუქცევადი და ინსტიტუციონალიზებული გახდეს. აქვე გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ურბანული კულტურისგან მონყვეტილ პერიფერიებში ზოგადად უფრო რთულია თანამედროვე ლიბერალური ფასეულობების გავრცელება და დამკვიდრება, რისი ერთ-ერთი სანდო ინდიკატორი ეროვნული უმცირესობით მჭიდრო დასახლების რაიონებში გენდერული თანასწორობის მდგომარეობაა, რომელიც ქვეყანაში არსებულ საერთო სურათზე მნიშვნელოვნად უარესია.

ძირითადი მიზეზი, რითაც მკვლევართა და პოლიტიკოსთა უმრავლესობა ამ შედეგებს ხსნის, სახელმწიფო ენის არცოდნაა. ბევრი მათგანი ფიქრობს, რომ ამ პრობლემის გადაჭრა გადამწყვეტ როლს ითამაშებს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პანკისის ქისტური თემის წინაშე მდგომი გამოწვევების გაანალიზება, ვინაიდან აქ ენობრივი ბარიერის პრობლემა საერთოდ არ არსებობს.

ირკვევა, რომ ამ შემთხვევაშიც თავს იჩენს არაერთი პრობლემა, რომლებიც ამ ჯგუფის სრულფასოვან და ღირსეულ ინტეგრაციას უკავშირდება. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ პანკისის ხეობის მოსახლეობა ახმეტის საარჩევნო ოლქის მესამედს შეადგენს, მათი წარმომადგენლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დაახლოებით 10 პროცენტია. არჩევნებისას ძლიერია კოლექტიური არჩევანის გაკეთების ტენდენციები. მოსახლეობა უკმაყოფილოა იმით, რომ მათი პრობლემები, სხვა რეგიონის პრობლემებთან შედარებით, ნაკლებად შექდება და იმ შემთხვევაში, როცა ამ რეგიონით მედიასაშუალებები ინტერესდებიან, მას ძირითადად უარყოფითი კონტექსტით წარმოადგენენ. ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებს შორის „მაჩალიკაშვილის საქმე“ ერთადერთია, რომელიც ფართო განხილვის საგნად იქცა. მეორე მხრივ, გარკვეულწილად ტაბუ ადევს ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორცაა ამ ხეობიდან სირიაში მოხალისეებად წასული ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი. ახალგაზრდობა მიუღებლად მიიჩნევს ხეობის მცხოვრებთა მიმართ საქართველოს უსაფრთხოების სამსახურების განსაკუთრებულ ინტერესს, რაც საქართველოს სახელმწიფოსადმი ადგილობრივი მოქალაქეების გაუცხოებას იწვევს. ხეობაში EECMD-ის (აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის) მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, რომელშიც საქართველოს რამდენიმე ძირითადი პარტიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, პანკისელთა უმრავლესობამ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ხეობის მცხოვრებლებზე გავრცელებული უსაფრთხოების სხვადასხვა პროცედურის მიმართ. ასეთია არასამთავრობო და საინიციატივო ჯგუფების მუდმივი მონიტორინგი, საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებული გამკაცრებული პროცედურები და სხვ.

ფაქტია, რომ პანკისის ხეობა ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვან პოტენციურ საფრთხეებს შეიცავს. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უსაფრთხოების სამსახურების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა. აქ პრობლემა ჩნდება იმის გამო, რომ სამოქალაქო საზოგადოება აბსოლუტურად არ ინტერესდება პროცესების მონიტორინგით. გამომწვევა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროა ამ თემაზე დაუფარავი და მრავალმხრივი დისკუსია სამოქალაქო საზოგადოების სრული ჩართულობით. ამით თავიდან იქნება აცილებული არაპროპორციული ზომების მიღება, რაც მოსახლეობის რადიკალიზაციას გამოიწვევს.

ამავდროულად, მოსახლეობასთან შეხვედრების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ნაკლები ინფორმაცია აქვს სხვა რეგიონებში არსებულ სიტუაციაზე. ბევრი ფიქრობს, რომ მათ წინაშე მდგარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები გაცილებით უარესია სხვა რეგიონებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ისეთი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომელთა დახმარებითაც პანკისის ხეობის მოსახლეობა უკეთ გაეცნობა სხვა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რაიონების მდგომარეობას. საქართველოს სხვა რეგიონებთან უფრო მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბება უთუოდ ხელს შეუწყობს საერთო გზის შემუშავებას სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის ასამაღლებად არა მარტო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ, არამედ ზოგადად საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობაშიც.

The image features a large, abstract geometric composition. A large, dark blue triangle is positioned on the right side, pointing towards the left. This triangle overlaps with a lighter blue, diamond-shaped element that is also oriented towards the left. The background is a solid, vibrant orange color. The year '2018' is printed in a light orange or yellow font, centered within the dark blue triangle.

2018